



სემინარი Covid-19-ის მიერ გამოწვეულ პრობლემებზე

სემინარი მიჰყავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს - ბატონ პროფესორ დავით გურგენიძეს.

სემინარში მონაწილეობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტები და ახალგაზრდა მკვლევრები: გიორგი კაშიბაძე, გიორგი ბერიაშვილი, ელიზაბეტ ლომსიანიძე, დავით გალაშვილი, ქეთევან რჩელიშვილი და მარიამ ხაზარაძე.

დავით გურგენიძე:

ძვირფასო კოლეგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა დღევანდელი კაცობრიობის ყველაზე მტკივნეული საკითხის შესახებ ვისაუბროთ, რომელსაც Covid-19-ის მიერ გამოწვეული კრიზისი ქვია.

მოგეხსენებათ, რომ ამ თემას ჩვენს უნივერსიტეტში არსებული დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი კლასტერი: სახელმწიფო-სამართალი-კულტურა-ს ფარგლებში მომზადდა და გამოიცა კრებული *Covid-19: გამოწვევები. გლობალური და ევროპული ახალი სოციალური წესრიგი (ედიტორები: გიორგი ბერიაშვილი, მარკუს გაბრიელი, დავით გურგენიძე)*; კრებულში წარმოდგენილია წამყვანი ევროპელი, ამერიკელი და ქართველი სწავლულების ხედვები თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებისა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. ეს მართლაც საშური საქმე იყო, რადგან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სხვადასხვა დარგის სწავლულებმა თავი მოვალედ ჩათვალეს, რომ ეს უმძიმესი გამოწვევა სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ და მსოფლიო გლობალური საზოგადოებისათვის გამოსავლის გზები და ტრანსფორმაციის ფორმები შეეთავაზებინათ. მართლაც უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით, ეს კრიზისი გამოწვეულია სამედიცინო ეპიდემიოლოგიური პრობლემით, მაგრამ მისი შედეგები იმდენად ღრმად და ყოვლისმომცველად შეეხო საზოგადოებას, რომ არ დაუტოვებია არცერთი საარსებო სფერო (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური), რომელსაც ეს კრიზისი აცდენოდეს.

განსხვავებით სხვა ტიპის კრიზისებისაგან, რომლებიც არაერთი იყო კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, კორონა-კრიზისმა მართლაც გლობალური ხასიათი მიიღო. თუ ყველა ქვეყანა არა, არცერთი კონტინენტი არ დარჩენილა, რომელსაც ის არ მისწვდომოდეს. ამდენად, სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ეს კრიზისი თანამედროვე საზოგადოებას არსებით პირობად უყენებს მისი არსებობის ნირის გადააზრებისა და გარდაქმნის აუცილებლობას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს კრებული არა მხოლოდ ამ კრიზისის შესახებ ევროპელი და ამერიკელი გამოჩენილი სწავლულების,

ინტერვიუებისა და მოსაზრებების თარგმანს წარმოადგენს, არამედ ქართველი სწავლულების მოსაზრებებსაც.

ჩვენი ამ სემინარის მიზანია გავაგრძელოთ მსჯელობა ამ გლობალური კრიზისის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე. ეს არის იმ საუბრებისა და მეცნიერული კოლაბორაციის გაგრძელება, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი ახორციელებდა ევროპულ და ქართველ კოლეგებთან ერთად, ისეთებთან როგორებიც არიან: თეო კობუში, შტეფან გოზეპატი, მარკუს გაბრიელი, გეორგ ლომანი, ზდისლავ კრასნოდებსკი, ანა ფირცხალაშვილი, ილია მარჯანიძე და სხვა.

მე მოხარული ვარ, რომ როგორც ამ კრებულის შექმნაში, ისე ამ სემინარში და საუბრებში თქვენ აქტიურად მონაწილეობდით და ჩვენი ეს ერთობლივი მუშაობა პროფესორებსა და სტუდენტებს, ამ შემთხვევაში დოქტორანტებსა და მაგისტრებს შორის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და მუშაობის ეს პრინციპი, რომელიც სწავლა - სწავლების პროცესს ცდება და კვლევაში ორივე მხარის თანაბარ მონაწილეობას მოიცავს (ანუ პროფესორებისა და სტუდენტებისა) ჩვენი უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია და მომავალშიც ასე იქნება. ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ღია ვართ არა მარტო ევროპულ და დასავლურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისათვის, არამედ პირველ რიგში სხვადასხვა ქართულ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციისათვის.

ახლა მე მინდა, ერთობლივად ვიმსჯელოთ იმ პრობლემების შესახებ, რომელმაც Covid-19-ის კრიზისი გამოიწვია.

- 1) თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასი თავის მოსაზრებას ამ კრიზისის გარშემო ძალზედ ყურადსაღები თეზისით გადმოგვცემს, იგი ამბობს: „ამდენი ცოდნა ჩვენი არცოდნის და იმ იძულების შესახებ ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ დაუცველობაში, აქამდე არასდროს გვქონია“. ეს კითხვა მე მაგონებს სოკრატეს მიერ დასმულ ცნობილ კითხვას სოფისტებისადმი: *თქვენგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებთ, რომ საგნების შესახებ ყველაფერი იცით, მე ვამბობ, რომ მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი*. ეს მართლაც კაცობრიული მნიშვნელობის კითხვაა, რომელსაც აქტუალობა აგერ უკვე 2500 წელია არასდროს დაუკარგავს. ხომ არ იგულისხმება ამ კითხვაში ის, რომ ფორმალური გამოყენებითი ცოდნის გარდა საგნების და ჩვენი გარემომცველი სამყაროსა და სამყაროში არსებული საგნების შესახებ, ჩვენ არსობლივად მოვლენების და საგნების შესახებ მართლაც ბევრი რამ არ ვიცი. ხომ არ დაგვანახა თუნდაც ამ კრიზისმა ჩვენი ცოდნის ნაკლებობა და მოუმზადებლობა იმ ხდომილებებთან მიმართებაში, რომლებმაც გარკვეული კლიშეები ჩვენი ცოდნისა, მინიმუმ ეჭვის ქვეშ დააყენეს. ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ იმას, რომ ზოგიერთმა ტოტალიტარულმა ან ევროპული ღირებულებების შეუსაბამო სისტემის მქონე სახელმწიფოებმა უფრო უკეთ შეძლეს კრიზისის მენეჯმენტი, ვიდრე ჩვენთვის აპრიორულად არსებულმა დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა.



კითხვას პასუხობს გიორგი კაშიბაძე:

დღევანდელი მსოფლიოს კომპლექსურობიდან და დინამიკურობიდან გამომდინარე ვხდებით მოწმენი (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) სამყაროში განვითარებული სწრაფი და განუჭკვრეტელი ცვლილებებისა; სამყარო თავად გახდა სწრაფად და გაურკვეველი მიმართულებით ცვალებადი. გლობალური მოთამაშეები ისეთი ახლებური მოცემულობებით წარმოგვიჩენენ თავიანთ თავს,

როგორსაც წინასწარ არ მოველოდებოდით: ამერიკაში სამოქალაქო და ეკონომიკური კრიზისის გამწვავება, პანდემიის მიმართ სამედიცინო სექტორის არაეფექტურობა და ეპიდემიის კონტროლის მენეჯმენტის ჩავარდნა არ დაემთხვა იმ ოპტიმისტურ მოლოდინებს, რაც ჩამოთვლილ შემთხვევებთან დაკავშირებით შეიძლება გვქონოდა. ასევე, ჩინეთის პოზიტიური შედეგები “კოვიდთან” ბრძოლის დროს მოულოდნელობა აღმოჩნდა ჩვენთვის. იურგენ ჰაბერმასი სწორედ ასეთი ახალი მოცემულობების ფონზე გვეუბნება, რომ “ამდენი ცოდნა ჩვენი არცოდნისა და იმ იძულების შესახებ, ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ დაუცველობაში, აქამდე არასდროს გვქონია”. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა, მოუმზადებლად არ დავხვდეთ ისეთი ტიპის ახალ პრობლემებს, რომლის სწრაფი და ეფექტური გადაჭრა ექსისტენციალურად მნიშვნელოვანი იქნება მსოფლიო საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, პანდემიით გამოწვეული

ცვლილებები გარკვეულ პოზიტიურ კონტაქტის შეიცავენ იმ თვალსაზრისით, რომ კაცობრიობას აძლევს შესაძლებლობას პრობლემების გადაჭრის გზები და პრევენციის ახალი შესაძლებლობები დროულად და ეფექტურად იქნას მოძიებული.

ჰაბერმასი თვლის, რომ Covid-19-ის კრიზისმა დასავლური მეტაფიზიკის მიერ ჩამოყალიბებული ჰუმანიზმის უნივერსალური პრინციპები (ჰუმანიტური განათლებისა და ეთიკის მიმართულებით) დღესდღეობით ექსპლიციტურად ავლენენ თავიანთ უნივერსალურ ხასიათს უნივერსალურ ხასიათს და აქტუალურობის მაღალ ხარისხს იძენენ. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებებში ჩამოყალიბდა ერთგვარი მოლოდინები, რომ პოზიტიური მეცნიერებების გამოყენებით ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეიძლება, ამ თვალსაზრისმა მოადუნა ინდივიდების ეგზისტენციალური სიფხიზლე და დაცულობის ილუზია შექმნა. შესაბამისად, ადამიანებს სხვა არაფერი დარჩენიათ თუ არა ყოველდღიური ყოფის წვრილმანი პრობლემებით დაკავებულიყვნენ (იმ იმედით, რომ დიდ საფრთხეებს “სხვები” მოაგვარებენ და ეს მათ არ ეხებათ, იქნება ეს ეკოლოგიური, სამედიცინო თუ სხვა სახის პრობლემები). Covid-19-ის კრიზისმა ნათლად დაგვანახა ამგვარი „უსაფრთხო ყოფის“ სიმყიფე. ჰაბერმასი გვთავაზობს “დავიწყებული” და ყოველდღიურობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მიერ მარგინალიზებული ჰუმანიტარული/ჰუმანიტური განათლების მნიშვნელობის წინ წამოწევას კოვიდ-კრიზისის დამღვევის საქმეში. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს როლი და ძალმოსილება კოვიდ-კრიზისთან გამკლავების თვალსაზრისით არ არის აბსოლუტური — მას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი რესურსებით, საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობის (და მათი მხრიდან პირადი წვლილის შეტანის) გარეშე, კრიზისთან გამკლავება — თითოეული ინდივიდის პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარ თავთან ისე ერთმანეთთან მიმართების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია. ამა წლის 5 აპრილს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში (ჟურნალი - “Die Zeit”) ჰაბერმასი (ევროპის სხვა ინტელექტუალებთან ერთად) მიმართავს ევროკავშირს **კოვიდ-ფონდის** შექმნის თაობაზე კრიზისთან ბრძოლისათვის. თუმცა, მოგვიანებით სახელმწიფოების როლს პესიმისტურად აფასებს მათი უტილიტარისტული მიზნების პრიმატის გამო Covid-19-თან ბრძოლაში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოების წევრთა ინდივიდუალურ როლს და პასუხისმგებლობას.

შესაბამისად, საზოგადოების როლი და ჰუმანიტარული/ჰუმანიტური განათლების პრიმატი გულისხმობს ისეთ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც თითოეულმა ინდივიდმა უნდა იკისროს საკუთარ თავზე ყოველდღიურ პრაქტიკებში ერთმანეთთან ურთიერთობების დროს: დაიცვას ყველა რეგულაცია, რაც Covid-19-ის გავრცელებას შეუშლის ხელს და ამით დაიცავს და გაუფრთხილდება არა მხოლოდ სხვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არამედ თავისასაც და შეიტანს პირად წვლილს ვირუსთან საკაცობრიო ბრძოლაში. ამ ვითარებაში პირადი პასუხისმგებლობის გააზრება შესაძლებელია არა მხოლოდ ისეთი ჰუმანიტარული/ჰუმანიტური განათლების ფლობის მეშვეობით რაც საგანმანათლებლო სივრცეებიდან მომდინარეობს, ვიწრო გაგებით, არამედ თავის დროზე ი. კანტის მიერ განსაზღვრული ცნების - განმანათლებლობის (და არა უბრალოდ განათლების), როგორც საკუთარი განსჯის ავტონომიურად გამოყენების მეშვეობით. ეს უკანასკნელი შესაძლებელია იმდენად რამდენადაც ჩვენ, გვიანი მოდერნულობის ეპოქაში მცხოვრებნი, გარემოსთან დამოკიდებულებას ვიაზრებთ თავად ამ გარემოში მოქმედი და შემოტანილი წესებისა და ნორმების მეშვეობითაც. როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა იტყოდა “სამყარო წარმოადგენს ტექსტს”... ხოლო ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ამ ტექსტუალურ სივრცეში Covid-19-თან ბრძოლის საორიენტაციო საშუალებები განმანათლებლური ცოდნის საფუძველზე. ერთი მხრივ, თითოეულ ინდივიდს მიეწოდება სახელმწიფოს მხრიდან ეპიდემიის შეკავებისათვის საჭირო ინფორმაცია, მეორე მხრივ კი, თავად უნდა შეეძლოს საკუთარ საარსებო გარემოში განსაზღვროს საკუთარი ქცევის მათორიენტირებელი ფორმები, მიჰყვას თვითდისციპლინის პრინციპს, რათა საზოგადოების თვითორგანიზებული წესრიგის ფორმირებას ხელი შეუწყოს. გარემოში საორიენტაციო ქცევის ფორმების ამოკითხვა არ გულისხმობს მხოლოდ იმ რეგულაციებისა და წესების გაგებას, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან მიეწოდება თითოეულ ინდივიდს სოციალური დისტანცირებისა და ჰიგიენის წესების დაცვასთან დაკავშირებით. ასევე გასათვალისწინებელია ეკონომიკური ფაქტორიც, რომელიც ერთეულ სუბიექტს პრობლემის სახით ექმნება, რეგულაციის არ დაცვასთან მიმართებაში, რადგან ამით ფერხდება ბიზნეს საქმიანობა, ხოლო პანდემიის გავრცელების შეჩერება და შემდგომი აღმოფხვრა კი პირდაპირ კავშირშია სოციალური სუბიექტების ეკონომიკური

დასაქმების საკითხთან. შესაბამისად, ინდივიდი იღებს ორიენტაციას პანდემიის შემაფერებელი წესების დაცვაში ისევ და ისევ საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე (ამით კი საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობის დაცვამაც იღებს მონაწილეობას). პანდემიასთან ბრძოლაში თითოეული ინდივიდის როლი ხელი შეუწყოს ვირუსის სწრაფი გავრცელების შეჩერებას, მათივე ეკონომიკური ინტერესებთანაა კავშირში და ეს არ უნდა იყოს გაგებული ნეოდარვინისტული „ჯოგური იმუნიტეტის“ გამომუშავებასთან კავშირში, რადგან „ჯოგური იმუნიტეტის“ ამ კონცეფციაზე დაფუძნებულ ქმედებას შეიძლება ფატალური შედეგები მოჰყვეს საზოგადოების ექსისტენციალურ ჰუმანისტური არსებობისათვის. „ჯოგური იმუნიტეტის“ პრინციპს მხოლოდ მოდიფიკაციით აქვს გამართლება, როდესაც ის საზოგადოების მიერ არა ბუნებითი გადარჩევის პრინციპზე იქნება დაფუძნებული, არამედ სწრაფი ვაქცინაციის საფუძველზე საზოგადოების უმეტესი ნაწილის იმუნიტეტის გამომუშავებაზე; ეს კი შესაძლებელია საზოგადოების ჰუმანისტური თვითშეგნების საფუძველზე განხორციელდეს, რა დროსაც საზოგადოების ყველა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფები საყოველთაო სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე ნებაყოფლობით იქნებიან აცრილები.

ყოველდღიური დაკვირვება პანდემიის მიმდინარეობაზე დღემდე შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმისტური იმედის აღმძვრელია: მოხალისე ჯგუფების თანადგომა ინფიცირებულთა მიმართ სხვადასხვა ქვეყნებში, კონსოლიდირება სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორის რეგულაციების დაცვის მხრივ ვირუსთან ბრძოლაში და თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება პანდემიასთან ბრძოლაში გარკვეულწილად ეფექტური აღმოჩნდა, რამაც სხვადასხვა როგორც ინფექციის გავრცელების ტემპების შენელება და პანდემიის გავრცელების კონტროლი გახადა შესაძლებელია; მეორე ტალღის პერიოდში სამოქალაქო აქტივობამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან 2020-2021 წლების ზამთრის პერიოდში ვირუსოლოგების პროგნოზის მიხედვით კიდევ უფრო მძიმე შედეგების გამომწვევი იქნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა პირობებმა ადამიანები დააყენა თვითგადარჩენის ისეთი ფაქტის წინაშე, სადაც ეთიკა და ჰუმანიტარული/ჰუმანისტური აზროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს Covid-19-თან ბრძოლაში. გამოსავალი ამ და სხვა ანალოგიური კრიზისებიდან უნდა იყოს და არის სოციალური პასუხისმგებლობის აღება თითოეული ინდივიდის მიერ საკუთარ თავზე და ზრუნვისა და მზრუნველობის პრინციპის გატარება თითოეული ინდივიდის მიერ სხვისა და საკუთარი თავის მიმართ, რაც ჩვენი საზოგადოებრივი არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტია.

2) დავით გურგენიძე:

ამ კრიზისის შესახებ არა მარტო მეცნიერები გამოთქვამენ თავის აზრს, არამედ პოლიტიკოსებიც, ამის თვალსაჩინო მაგალითია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მიმართვა გერმანელი საზოგადოებისადმი. ამ მიმართვაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ სენსიბელურად და არა პოლიტიკური რიტორიკით წარმართა მან თავისი ეს სიტყვა, სადაც ყველა ადამიანისთვის გასაგებ ენაზე წარმოადგინა თავისი თავი როგორც ქვეყნის მეთაურმა, რომლისთვისაც ყოველი ადამიანის ბედი მართლაც მნიშვნელოვანია. თავის მიმართვაში იგი ამბობს: *პანდემიამ გვაჩვენა, რომ მოწყვლადები ვართ, ის წარმოდგენაც, რაც აქამდე გვექონდა - გვეგონა რომ ვიყავით ძლიერები და სწრაფად, მაღლა და წინ მივდიოდით აღმოჩნდა მცდარი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს კრიზისი მხოლოდ სისუსტეებს კიარ გვაჩვენებს, არამედ იმასაც თუ როგორი ძლიერები ვართ, იგი გვაჩვენებს პლატფორმას, რომელზეც ჩვენ აშენება შეგვიძლია.* მართლაც, ჩვენ ერთად ერთმანეთთან ყოფნით და ერთმანეთზე ზრუნვით შეგვიძლია ჩემი აზრით, არა მარტო ეს კრიზისი დავძლიოთ, არამედ ყოველ მომავალ კრიზისსაც გავუმკლავდეთ. ამისათვის კი ჩვენ გვჭირდება ერთმანეთისადმი მეტი ნდობა და თანასწორი მიმართება, რაც სწორად იმ პლატფორმის შექმნის წინამძღვარი იქნება, რაზედაც გერმანიის პრეზიდენტი საუბრობს. ამისათვის არა მხოლოდ ადამიანები უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები, არამედ სახელმწიფოთაშორის სოლიდარობას, მიუხედავად მათი სოციალური, პოლიტიკური და ინტელექტუალური განსხვავებებისა უნდა ენიჭებოდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამის მისაღწევად მსოფლიო განსხვავებულმა საზოგადოებებმა და სოციალ-პოლიტიკურმა სისტემებმა გარკვეული რეაგირება უნდა მოახდინონ ისე, რომ არ იქნეს

შელახული რომელიმე მათგანის ექსისტენციალური ინტერესები და ღირსება. როგორ ფიქრობთ თქვენ, რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?



კითხვას პასუხობს გიორგი ბერიაშვილი:

ამ პანდემიის შესახებ, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი) წერს, რომ ის „ომი არ არის, რომლებშიც ერები გამოდიან ერების წინააღმდეგ, ჯარისკაცები ჯარისკაცების წინააღმდეგ, არამედ ეს არის ჩვენი ადამიანობის გამოცდა, ეს გამოცდაა, რომელიც ავლენს ყველაზე ცუდსა და ყველაზე კარგს ადამიანში და ვაჩვენოთ ერთმანეთს საუკეთესო ჩვენში!“

მართლაც, პანდემია არ არის მხოლოდ სამედიცინო ეპიდემიოლოგიური მოვლენა, რომლის დამარცხება მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებით შეიძლება დაიძლიოს.

როგორც უკვე ამ საუბრისას აღინიშნა, ეს ხდომილება მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა სფეროს და ამდენად, ეს არის ექსისტენციალური პრობლემა. ექსისტენციალური პრობლემის გადასაღწევად კი ადამიანებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკუთარი მივიწყებული არსის გახსენებაა: ეს გახლავთ ის, რომ ადამიანი მორალური, პასუხისმგებელი/თვითპასუხისმგებელი არსებაა. სწორედ მორალი და (თვით)პასუხისმგებლობა ქმნის ადამიანს პირად და არა მხოლოდ ფორმალურად გაგებული როგორც მხოლოდ გრძნობადი და გონებრივი არსება.

იმანუელ კანტი (თვით)პასუხისმგებლობას ადამიანის ყოფნის ძირითად ფორმად მიიჩნევდა, რომელიც ადამიანის სფეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ქმედებას განსაზღვრავს, ანუ ეს არის ზნეობრივი/მორალური პრაქტიკა. ზნეობრივი/მორალური პრაქტიკა თავად ზნეობრივში, პოლიტიკურში, ანუ სახელმწიფოში ხორციელდება. შესაბამისად, ადამიანის არსებობის საფუძველი სხვასთან თანყოფნაა და სხვის მიმართ პასუხისმგებლობის ქონა, რაც როგორც შტაინმაიერი აღნიშნავს, სამოქალაქო პასუხისმგებლობაა, რომელიც ადამიანის ერთობის ყველა წევრს თანაბრად განეკუთვნება. სწორედ ამის შესახებ გვამცნობს გერმანიის პრეზიდენტი, რომ არა მხოლოდ მთავრობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ კრიზისის დასაძლევად, არამედ თითოეულმა მოქალაქემ და მათ უნდა ქონდეთ როგორც ერთმანეთის, ისე სახელმწიფოს მიმართ ნდობა, რომ ამ მდგომარეობიდან შეძლებისდაგვარად ნაკლებ დაზარალებულები გამოვიდეთ. ეს მხოლოდ ერთმანეთზე ზრუნვითა და მზრუნველობით არის შესაძლებელი. სწორედ ამას მიგვანიშნებს ბატონი პრეზიდენტი როდესაც ამბობს, რომ ჩვენ ახლა ჰუმანურობის/ადამიანობის გზაჯვარედინზე ვდგავართ და იქედან გამოსვლა ორი მიმართულებით შეიძლება: „ერთი მიმართულება მხოლოდ საკუთარი თავის ზრუნვისკენაა მიმართული - ვიძუნწოთ და მშრალზე გავიდეთ და ჩვენი ცხოვრება გავიყვანოთ, ხოლო მეორე მიმართულება - ახლად აღმოცენებულ მოცემულობაში სხვებისთვის და საზოგადოებისთვის ჩავერთოთ და გავხდეთ ერთი მთლიანის ნაწილი“. ანუ, დღევანდელ დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა კაცობრიობისათვის არის მისი დანიშნულების - ჰუმანურობის და სოლიდარობის განხორციელება. ეს ეხება არა მხოლოდ რომელიმე ცალკეულ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს, არამედ გლობალურ მსოფლიო მოსახლეობას.

ჰუმანურობის ამ პრინციპის დავიწყება დიდწილად განპირობებული იყო მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძველზე განვითარებული ტექნოკრატიული პრინციპის გაბატონებით. მართლაც, კაცობრიობის დიდ ნაწილს ურყევი რწმენა ჰქონდა, რომ ტექნოლოგიური განვითარებით ბუნების სრული დამორჩილება იქნებოდა შესაძლებელი, რა პრინციპის გლობალურ ინდუსტრიაში დანერგვამაც სამწუხაროდ მრავალ ეკოლოგიურ კატასტროფამდე თუ არა, დიდ ზარალამდე მიგვიყვანა, პანდემიაც სწორედ ეკოლოგიური კატასტროფის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

სამეცნიერო ტექნოლოგიურ საფუძველზე განვითარებულმა გლობალურმა, მხოლოდ მოგებაზე დაფუძნებულმა ინდუსტრიალიზაციამ როგორც მარტინ ჰაიდეგერი იტყოდა: ადამიანი თავად გახადა „უმნიშვნელოვანეს ნედლე მასალად“; აქ შეიძლება ისევ გავიხსენოთ მარტინ ჰაიდეგერის გაფრთხილება, რომელსაც ის მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს 40-იანი წლების დასაწყისში გამოთქვამდა, რომ გლობალიზაციის, რომელსაც იგი ტოტალიზაციასაც

უწოდებდა ამ ინდუსტრიულ პროცესში, „რომელიც „მოანგარიშე“ გონების საფუძველზე ხორციელდება და რომელიც ძალაუფლებაზე მიმართული აზროვნებაა, პლანეტური და კოსმიური მასშტაბები შეიძინა“, ანუ ადამიანი რეალურად ამ ტიპის გლობალიზაცი-ინდუსტრიალიზაციის ინსტრუმენტი გახდა.

დღევანდელ დღეს მართლაც ცალსახად გამოჩნდა, რომ მხოლოდ ტექნოლოგიური შესაძლებლობებით ამ პრობლემის დაძლევა შეუძლებელია, მიუხედავად ახლად შექმნილი თუ შესაქმნელი კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინისა თუ წამლებისა, თანაც გასათვალისწინებელია, რომ მათი არსებობის შემთხვევაშიც კი მთელ რიგ ქვეყნებს მათზე ხელმისაწვდომობა არც თუ ისე თავისუფლად ექნებათ და არა თუ ცალკეულ სახელმწიფოებს და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თვით ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის დაბალ სოციალურ ფენებსაც კი. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს გერმანიის პრეზიდენტი, რომ ადამიანები არა მხოლოდ მოწოდებული უნდა ვიყოთ სოლიდარობისაკენ, არამედ სოლიდარობა მოვალეობად უნდა გვქონდეს ქცეული, რაც სწორედ შექმნის იმის საფუძველს, რომ ჩვენ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ „უფრო მეტი ნდობა, მოწიწება და რწმენა გვექნება“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური მიდგომების, არამედ სამართლებრივი და ეთიკურის გადააზრებაც გახადა აუცილებელი. საბედნიეროდ, თანამედროვე გლობალური მსოფლიოს დემოკრატიული ნაწილის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმეტესობა და თავად მოსახლეობის დიდი ნაწილი ცალსახად დგას საზოგადოებრივ, პოლიტიკური და შეიძლება ასევე ეკონომიკური სისტემების გადააზრების პოზიციაზე. ამიტომ სრულიად ვეთანხმები ფილოსოფოს მარკუს გაბრიელის აზრს, რომ ახალი საყოველთაო უნივერსალური ეთოსის შესაქმნელად საჭიროა უნივერსალური მორალის გამომუშავება ინტერკულტურული პრინციპებიდან გამომდინარე; ამისათვის კი საჭიროა, რომ ახალი განმანათლებლური ცოდნა იქნას გამომუშავებული, რის საფუძველზეც ადამიანები თავის მორალურობას ახლებურად გააზრებენ/ისწავლიან და ამის შედეგად თვითაღიზრდებიან. ეს კი შესაძლებლობას მისცემს კაცობრიობას, რომ კრიზისულ პერიოდებში, როდესაც რეალობის რადიკალიზაცია ხდება, ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს არა მხოლოდ ფორმალურად არ შეექმნათ საფრთხე, არამედ ეს უფლებები არსობლივად აღმოჩნდნენ ხელშეუხებლები და მათი ფუნქციონირებისათვის არანაირი არსისეული შემზღვეველი პირობები არ შეიქმნას გარემოებებიდან გამომდინარე.

ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ Covid-19-ის პანდემიამაც აჩვენა გარკვეული პარადოქსული მოვლენები, მაგალითად, ისეთმა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ როგორც ჩინეთმა, შეძლო უფრო კარგად ემართა ეპიდემიოლოგიური თუ სხვა სოციალური პროცესები, ვიდრე ეს ბევრმა დასავლურმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ შეძლო. სწორედ ამის შესახებ ამბობს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, რომ სახელმწიფოებს მოუწიათ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლის სცენარიც წინასწარ არ არსებობდა.

3) დავით გურგენიძე:

ბევრი დასავლელი ინტელექტუალი, მათ შორის ჩვენს მიერ გამოცემულ კრებულში წარმოდგენილი, ორი რენომირებული ფილოსოფოსი, როგორებიც არიან ჯუდიტ ბატლერი და სლავოი ჟიჟეკი, ამ კრიზისს უყურებენ როგორც კაპიტალიზმის დასასრულს, ისე როგორც ის ჩვენ ვიცით. მართლაც, ვირუსოლოგიური იმპერატივი, რომელიც პანდემიის დროს ერთმანეთისგან იზოლაციისკენ მოგვიწოდებს (ეს ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოთაშორის იზოლაციას) ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულების ახალი გააზრებისკენ მოგვიწოდებს. ამ დროს წარმოიშება მრავალი სოციალური პრობლემა, მითუმეტეს სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის და ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისათვის. სოციალურად დაუცველ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკუთარი „ოჯახი“, რომელშიც მათ შეუძლიათ განმარტობა/იზოლაცია, ხოლო ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებს კი არ ძალუძთ დამოუკიდებლად არც ტექნიკურ ლოგისტიკურად და არც სამართლებრივ-პოლიტიკურად გაუმკლავდნენ ამ მწვავე კრიზისს. ამასთან სოციალურად ძალზედ დიფერენცირებულ განვითარებულ ქვეყნებში სოციალური თანასწორობის პრინციპი უკანა პლანზეა გადაწეული; იმავდროულად, იზრდება საშიშროება იმის, რომ ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფები კიდევ უფრო მეტად ექცვიან როგორც ჯუდიტ ბატლერი იტყობა:

ხდებიან გლობალური კაპიტალიზაციის მსხვერპლები. ამ თვალსაზრისით დანახული, მართლაც ხომ არ გვაქვს საქმე ხსენებული მოაზროვნეების პოზიციიდან კაპიტალისტური წარმოების გაბატონებული წესის დასასრულთან, ანდა რა ზომებია მისაღები იმისათვის, რომ ეს სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ტრანსფორმირდეს, თუ ამ ფორმით მისი არსებობა სოციალური თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებელია.



კითხვას პასუხობს ელიზაბეტ ლომსიანიძე:

თანამედროვე სამყარო დადგა იმ გამოწვევის წინაშე, რა დროსაც ადამიანის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას შეექმნა უდიდესი საფრთხე; ეს არის არა რომელიმე ცალკეული სახელმწიფოს მიერ გამოწვეული კონფლიქტი თუ ომი, არამედ მთლიანი სამყაროსეული კრიზისი, სადაც მოწინააღმდეგე უხილავად არის შენიღბული, რის წინაშეც მსოფლიო სამწუხაროდ მოუშადაბელი და უძლური

აღმოჩნდა. ეს არის Covid-19-ის ვირუსი, რომელმაც კაცობრიობა დააყენა უამრავი გამოწვევის წინაშე და დაარღვია ის ყოველდღიური ჩვეული სოციალური გარემო, რომელშიც ინდივიდთა ერთობები/სახელმწიფოები სხვადასხვა სახით თანაარსებობენ. იმისათვის, რომ პანდემიით გამოწვეული პრობლემები შეძლებისდაგვარად დადებითად იქნას გადაჭრილი, საჭიროა ახალი სოციალური ურთიერთობები, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ისე სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურულად იქნეს ინსტიტუციონალიზებული, ანუ სოციალური სივრცე ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოხდეს ინდივიდებისა და სახელმწიფოების უსაფრთხოების, მათი თანასწორობისა და ღირსების დაცვა, ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ შიდა სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თანასწორი სამართლიანობის პრინციპზე იქნას დაფუძნებული, სწორედ ამ შემთხვევაში განხორციელდება ურთიერთადიარების პრინციპი როგორც ინდივიდებს და ისე სახელმწიფოებს შორის.

სახელმწიფომ ინდივიდებს უნდა შეუქმნას უსაფრთხოების გარანტია და უზრუნველყოს მისი ჯანსაღი გარემო, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები მოახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას და თანამონაწილეები იქნებიან სხვების თვითრეალიზების პროცესში. თავის მხრივ, ინდივიდები ხელს შეუწყობენ სახელმწიფოს სამართლიანად ფუნქციონირების შესაძლებლობას, ანუ სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის განხორციელდება ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთსაჭიროების პრინციპი, რაც სახელმწიფოს მდგრადობის გარანტიაა, ხოლო ეკონომიური განვითარების სტაბილურობა იქნება დამოკიდებული არა რომელიმე პრივილეგიურულ სოციალურ ფენაზე, არამედ თითოეულ სოციალურ აქტორზე. ამის საპირისპიროდ კი დემოკრატიულ-ლიბერალურ სახელმწიფოების გარკვეულ ნაწილში, რომლებიც „კაპიტალ-დაგროვების“ პრიმატით აღინიშნებიან და ასიმეტრიული აღიარების პრინციპია გაბატონებული, პანდემიამ დაარღვია ეს „კანონზომიერება“ და ნათლად წარმოადგინა ახალი სოციალური და ეკონომიკური წესრიგის დამყარების აუცილებლობა.

სლავოი ჟიჟეკი გახლავთ ერთ-ერთი იმ მოაზროვნეთაგანი, რომელმაც ღიად ისაუბრა კორონა-ვირუსის მიერ გამოწვეულ პრობლემებზე; ის ამ პანდემიას განიხილავს, როგორც „კაპიტალიზმის დასასრულს“; ამით ის, ამ ვირუსით გამოწვეულ პრობლემებს ახალი კუთხით დაგვანახებს, რომელიც კანშირშია ე.წ. „საბაზრო ეკონომიკის“ დიქტატურის უალტერნატივოდ ცნობასთან. უპრიანი იქნებოდა მოკლედ მიმოვიხილოთ/გავიხსენოთ, თუ რას ნიშნავს ტრადიციული გაგებით კაპიტალიზმი? ეს არის ის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სოციალური ურთიერთობები/კავშირები დაფუძნებულია პროდუქციის/საქონლის გაცვლაზე, კონკრეტულად, ის ეფუძნება წარმოების საშუალებების კერძო მფლობელობასა და დაქირავებული შრომისგან მიღებული ზედმეტი ღირებულების პრინციპს. ხოლო ზედმეტი ღირებულება არის კაპიტალისტური წარმოების ქვაკუთხედი, რადგან სწორედ ზედმეტი ღირებულებაა ის, რის გამოც კლასთა შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბრძოლა მიმდინარეობს. ზოგიერთი თანამედროვე მოაზროვნის აზრით, კორონა-ვირუსმა უფრო რადიკალურად წარმოაჩინა დაპირისპირება იმ კაპიტალისტურ საზოგადოებებში, რომლის არსებობის საფუძველიც სწორედ ასეთი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობებია.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილოსოფოსი სლავოი ჟიჟეკი ფიქრობს, რომ „ისეთი ეპიდემია როგორსაც ახლა ვხვდებით, ააშკარავებს იმას, თუ სად ძვეს გლობალური „ნეოლიბერალური ეკონომიკის სისტემის“ საზღვარი“. აუცილებელია მსოფლიოში გატარდეს რადიკალური ცვლილებები, სხვა შემთხვევაში გარდაუვალი იქნება მარცხი. რადიკალურ ცვლილებებში იგულისხმება ის, რომ აუცილებელია სახელმწიფოები მოქმედებდნენ ერთად და არა ერთპიროვნულად და იმ შემთხვევაში თუ გვინდა, რომ ეს ეპიდემია გლობალურად ვაკონტროლოთ, გამოსავალი მხოლოდ გლობალურ კოორდინაციით არის შესაძლებელი, ანუ საბოლოოდ მივდივართ საერთაშორისო სიმეტრიული თანამშრომლობის გზების ძიებისკენ. სლოვენელი ფილოსოფოსი სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე ამბობს: „ერთი სამყარო - ერთი ვირუსი“ - აქ იგულისხმება ის, რომ ჩვენ ყველა ვართ მსოფლიო საზოგადოება ერთ სამყაროში, სადაც არ არსებობს არანაირი საზღვარი/ზარიერი, ჩვენ აუცილებელია ვიმოქმედოთ ერთობლივი ძალებით, რადგან ჩვენ გვყავს ერთი საერთო და უხილავი მტერი. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ ერთად, დიდი ალბათობით ყველა ერთად დაგმარცხდებით ამ ომში. ამ ვირუსთან საბრძოლველად აუცილებელია სახელმწიფოებმა იპოვონ გლობალიზაციის ისეთი ახალი ფორმა, სადაც მთელი ევროპა და ზოგადად ევროპული ღირებულებების მქონე სახელმწიფოები იქნებიან გაერთიანებულები. ამ პრობლემის გადაწყვეტა არა მხოლოდ საზღვრების გახსნით შეიძლება გადაიჭრას, არამედ ამას ჭირდება რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციები.

სლავოი ჟიჟეკის ნააზრევის გავრცობად შეიძლება ჩათვალოს ცნობილი ამერიკელი მოაზროვნის, ჯუდიტ ბატლერის პოზიციაც, რომელიც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ კორონა-ვირუსის მიერ შექმნილ სიტუაციას დაგვანახებს გლობალურ ურთიერთდამოკიდებულების ახალი თვალთახედვით; ეს გულისხმობს, რომ ჩვენ, ყველა იმგვარი ვირუსის პირისპირ ვდგავართ, რომელიც გვაიძულებს განვმარტოვდეთ სხვებისაგან, მოშორებით ვიყოთ თვით ოჯახის წევრებთანაც კი. ამასთან ეს ვირუსი აუქმებს ყოველივე არსებულ საზღვარს და ნაციონალური ტერიტორიის იდეას დროებით მაინც ივიწყებს. ვირუსი არავის განარჩევს, მის წინაშე ყველა თანასწორები ვართ, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსის თვალსაზრისით, რომელთა რიგს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი განეკუთვნება, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ მოკვდება, ან ვინ იცოცხლებს წარმოჩინდება ღირებულება-სარგებლიანობის პრობლემად, რომელიც ბაზარმა უნდა გადაწყვიტოს. ბატლერისთვის კი გადაწყვეტა მსოფლიო საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპის გატარება, რისი აუცილებლობა მისი შეხედულებით პანდემიამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა. მისთვის მნიშვნელოვანია ასევე მსოფლიო გლობალურ ურთიერთობებში თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთვალდებულებების ეთიკური პრინციპების შესაბამისად გატარება. მისთვის მიუღებელია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ამ ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობა მხოლოდ მაღალი ფენის საზოგადოებისთვის იყო ხელმისაწვდომი, რასაც ის განიხილავს თანასწორობის დისბალანსად და ადამიანის უფლებების დარღვევად. სწორედ ამიტომ, მისთვის მიუღებელი იყო დონალდ ტრამპის მცდელობა Covid-19-ის ვაქცინაზე პრივილეგირებული უფლებები ეყიდა. ბატლერის აზრით, ტრამპისთვის „ერი არ არის მისი ხალხი, არამედ მხოლოდ მისი ბაზრები“. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი განიხილება არა როგორც „თვითმიზანი“, არამედ „საშუალება“ ცალკეული მიზნების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ თვლის კალიფორნიელი სწავლული, რომ ლიბერტარიანური იდეოლოგიის მქონე ლიდერები და მათ შორის დონალდ ტრამპიც ადამიანებს განარჩევენ უსარგებლო და სარგებლიან პროდუქტებად.

მაგრამ ვირუსმა აჩვენა, რომ გლობალურ-საკაცობრიო საზოგადოება/კომუნა თანაბრად არასაიმედო მდგომარეობაშია. ამის და მიუხედავად, ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფო მაინც მხოლოდ ეკონომიკურ სარგებლიანობას მიყვება, რაც შეიძლება იყოს საფუძველი კიდევ უფრო რადიკალური უთანასწორობის, ნაციონალიზმის და კაპიტალისტური ექსპლუატაციის წარმოქმნისა.

შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ პრობლემას ბატლერი ხედავს სახელმწიფო მოწყობის სისტემებში და საზოგადოების გარკვეულ ფენებში. სწორედ, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა დაგვანახებს, რომ ვირუსი განგვარჩევს, თუმცა ცხადია, თავად ვირუსი არ განარჩევს, მაგრამ ჩვენ, ადამიანები ვაკეთებთ ამას, რომლებიც ფორმულირებულნი ვართ ნაციონალიზმის, რასიზმის, ქსენოფობიის და კაპიტალიზმის ერთმანეთზე მჭიდროდ

გადაბმული ძალმოსილებით, რასაც ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის მაგალითიც კარგად აჩვენებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატლერი საჭირო მომენტში ზუსტ კითხვას სვამს, **თუ რატომ ვართ ჩვენ, როგორც ხალხი, იმის წინააღმდეგნი, რომ ყოველ სიცოცხლეს თანაბრად მოვეპყრათ?** აი აქ ვაწყდებით დიდ პრობლემას, რასაც მივყავართ სწორედ მორალურობისკენ, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაარსებობისთვის.

პანდემიის მიუხედავად, ჩვენ, ადამიანებს არ უნდა დაგვავიწყდეს მორალზე დაფუძნებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღირებულებები/პრინციპები, რაც ადამიანებს გვაქცევს თანასწორ/თანაბარუფლებიან არსებებად და რა თქმა უნდა ეს სიკვდილის შიშმა არ უნდა გადაწონოს. მიუხედავად ამ სიტუაციისა, ყველას თანაბარი უფლება და შესაძლებლობა/ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეს მკურნალობაზე, ვაქცინაზე და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა განისაზღვრებოდეს სტატუსითა და გავლენით. მაგრამ სამწუხაროდ, სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში ჩვენ ვიხილავთ ძალიან ცუდ სურათს, რომელშიც ზოგიერთი ადამიანი თავისი სიცოცხლის უფლებას სხვების ხარჯზე განიმტკიცებს, რასაც მივყავართ იმ წარმატებული ბაზრისკენ, სადაც განირჩევა ორი კატეგორია, პირველი კატეგორია განეკუთვნება იმ ადამიანებს, რომლებიც სიკვდილისგან ყველაფრის ფასად უნდა დავიცვათ და მეორენი, რომლებიც დაცვას არ იმსახურებენ და ღირებული ფასი არ აქვთ. ამ სიტუაციიდან გამოსავალს ბატლერი ხედავს იმაში, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ მსოფლიოზე, რომელშიც რადიკალურად მიუღებელია მოცემულობა, როდესაც ზოგიერთს აქვს წვდომა ექსტენციალურად აუცილებელ სიკეთეზე, ამ შემთხვევაში, ვაქცინაზე, რომელსაც მათი სიცოცხლის გადარჩენა ძალუძს, ხოლო სხვებს უარს ეუბნებიან იმ მიზეზით, რომ მათ არ შეუძლიათ ამის საფასურის გადახდა, ან არ აქვთ დაზღვევა, რომელიც ამას აანაზღაურებს, ანდაც არ აქვთ ვიზა და კანონიერი სტატუსი. ამისთვის, აუცილებელია და სავსებით შესაძლებელია ის, რომ ჩვენ გამოვიდეთ იმ კაპიტალიზმის ცნებობრივი აპარატის საზღვრებიდან, სადაც საზოგადოება იყოფა სხვადასხვა კატეგორიებად, ირდევ ადამიანის უფლებები და თანასწორობის პრინციპი, აქედან გამომდინარე, ხდება იმის საჭიროება, რომ შევცვალოთ მსგავსი ცნობიერება და დავაფუძნოთ/ჩამოვყალიბოთ ისეთი სამყარო და სოციალური გარემო, სადაც თანასწორობა, მორალურობა, ადამიანის უფლებების დაცვა და უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი და პრიორიტეტული.

4) დავით გურგენიძე:

ამ კრიზისმა, როგორც მსოფლიოს წამყვანი მოაზროვნეებიც ადასტურებენ, წარმოშვა ეთიკურ-მორალური პრობლემები და შეიძლება ითქვას, თანამედროვე ეთიკური შეხედულებების საფუძვლიანი გადააზრების აუცილებლობა. ეს მოსაზრება ჩვენს სემინარის მსვლელობასაც გასდევს ლაიტმოტივად. ამ პრობლემის ერთ-ერთი ცალსახა მაგალითი იყო ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ ე.წ. „ჯოგური იმუნიტეტის“ გამომუშავების ნეოდარვინისტული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი გადარჩევის საფუძველზე ძლიერები დარჩებოდნენ „გამარჯვებულები“. ეთიკური თვალსაზრისით, ეს მიდგომა მსოფლიო ინტელექტუალთა დიდი ნაწილისთვის მიუღებელია; მხოლოდ უტილიტარისტული თვალსაზრისით შეიძლება ვინმემ მოუძებნოს ამ პოზიციას გამართლება. უტილიტარისტული ეს პოზიცია გვეუბნება: მუდმივად ისე უნდა იმოქმედო, რომ რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ადამიანმა მიაღწიოს, რაც შეიძლება დიდ ბედნიერებას და ეს მოწოდება ძირითადად მიმართულია ქვეყნების მთავრობებისაკენ. არიან კი მთავრობები ბედნიერების საკითხში კომპეტენტურები და თუკი ისინი ამას შეეცდებიან, ხომ არ გვექნება საქმე ტოტალიტარიზმის გამოვლინებასთან? დემოკრატიულ საზოგადოებებს მხოლოდ თავისუფლების პირობებში შეუძლიათ ფუნქციონირება. აქვე დგება შემდგომი კითხვა, ის შეზღუდვები, რომლებსაც მთავრობები და თავად ადამიანებიც ერთმანეთს უწესებენ, ხომ არ არის ეს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა? მაგრამ, თუ ჩემი თავისუფლების შეზღუდვით სხვის თავისუფლებას ვაძლევ განხორციელების საშუალებას, ამ შემთხვევაში სხვის ჯანმრთელობას არ მივაყენებ ზიანს. ხომ არ არის ეს თავისუფლების შეზღუდვა განხორციელებული ისევე საერთო/ერთიანი თავისუფლების გულისათვის?



კითხვას პასუხობს დავით გალაშვილი:

ერთი შეხედვით, Covid-19 მხოლოდ სამეცნიერო/სამედიცინო სფეროს გამოწვევაა, ზოგიერთმა მედია საშუალებამ პანდემიის პერიოდი „ექიმების დიქტატურადაც“ მონათლა, თუმცა გერმანელი ფილოსოფოსის, ოტფრიდ ჰიოფეს აზრით, არსებულ კრიზისს არა მხოლოდ სამეცნიერო/პოზიტივისტური განზომილება, არამედ ეთიკური ასპექტებიც აქვს და ამ უკანასკნელის გათვალისწინების გარეშე

კაცობრიობა ამ გამოწვევას ვერ გაუმკლავდება. შეიძლება მავანს მოეჩვენოს, რომ წმინდად სამედიცინო გამოწვევას არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს მორალურ/ეთიკურ საკითხებთან, თუმცა, შევეცდები ნათლად წარმოვაჩინო ის ეთიკური ასპექტები, რაც მიმდინარე პანდემიას ახლავს თან.

სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა გაუმკლავდეს კაცობრიობა არსებულ პრობლემას, აზრი ორად იყოფა, ვხვდებით მთავრობის მკაცრი ინტერვენციების მომხრეებს, თუმცა, მეორე მხრივ, გავიგონებთ მოსაზრებასაც, რომ ჩვენ გარკვეული ჯოგური იმუნიტეტი უნდა გამოვიმუშავოთ ვირუსის წინააღმდეგ და ის თავის ნებაზე უნდა მიეფუძვას. ცხადია, დასახელებულ გადაჭრის გზებს ზურგს სამეცნიერო არგუმენტები უმაგრებს, მაგრამ რა არის ამ ორი გზის ეთიკური მხარე? ჯოგურ იმუნიტეტზე საუბარი ხომ არ იქნება, როგორც ჰიოფე ამბობს, *ნებაყოფლობითი უსუსურობის ტოლფასი?* თუკი ადამიანები, ცნობიერების მქონე არსებანი, დაუშვებენ იმას, რომ მათ მიღმა არსებულ უკონტროლო ძალებს მათზე ბატონობის ნება დართონ, ეს თვითპასუხისმგებელი და გონებრივი არსებისთვის სრულად შეუფერებელი რამ იქნება. ჯოგური იმუნიტეტის მომხრეები, ასევე, იმ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ პანდემიის ხელოვნური შენელება და მთავრობების მიერ განხორციელებული ინტერვენციები ადამიანების განუსხვისებელი უფლებების შელახვას გამოიწვევს, მათი აზრით, მკაცრი ზომების მიღება კონსტიტუციური მმართველობებისათვის გარკვეული ზეწოლის ტესტია. თუმცა, ამის კონტრარგუმენტად შეგვეძლო გვეთქვა, რომ ცალკეულის თავისუფლება, როდესაც ის სხვის ჯანმრთელობასა და საარსებო გარემოს საფრთხეს უქმნის უკვე აღარ არის თავისუფლება და ის თვითნებობაა. როგორც შტეფან გოზეპატი წერს, *თუკი ჩემს მიერ არჩეული გზა, ვისარგებლო ჩემივე თავისუფლებით, სხვისი ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი შეიძლება იყოს, რადგან მე შეიძლება ისინი ვირუსით დავაინფიცო, მაშინ მე უნდა შევიზღუდო ჩემი თავისუფლება, ან მთავრობამ უნდა გააკეთოს ეს.* სხვა სიტყვებით, გარდა იმისა, რომ მე მაქვს თავისუფლად გადაადგილების, შეკრების და ა.შ. უფლება, ასევე თითოეულ ადამიანს აქვს დაცულად ყოფნის უფლებაც, შესაბამისად, ეს არის დილემა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პანდემიის პერიოდში, ჩვენ გვჭირდება გარკვეული ბალანსი დაცულობასა და თავისუფლებას შორის.

არსებობს კიდევ ერთი ეთიკური დილემა, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როდესაც ინფიცირებულთა მომეტებულ რაოდენობას სამედიცინო დაწესებულებანი ვეღარ აუდიან. ცხადია, ეს წლების განმავლობაში არასწორი ჯანდაცვის პოლიტიკის შედეგია, ზოგიერთ სახელმწიფოში ჩვენ ვხვდებით ჯანდაცვის სფეროს სრულ განკერძოებას, მაგრამ ამ სინამდვილის შეცვლა რამდენიმე დღესა და კვირაში შეუძლებელია, მაშ როგორი გზით უნდა იფუნქციონიროს ჯანდაცვის სისტემამ აქ და ახლა? ჩვენ შევეჩხეთ ისეთ ფაქტებს, როდესაც ექიმებს არჩევანის გაკეთება მოუწიათ იმის შესახებ თუ ვინ უნდა გადაერჩინათ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვითარება სცდება ჩვეულ სამედიცინო რუტინას და აქ უკვე მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიურ პოზიციათა სხვაობა მნიშვნელობს. მაგალითად, ზოგიერთმა სახელმწიფომ არჩია, რომ არჩევანის გაკეთებისას მათ უტილიტარიზმის პრინციპის მიხედვით ემოქმედათ, რაც შემდეგში გამოიხატა. ექიმებს უნდა გადაერჩინათ ის, ვინც სამომავლოდ საზოგადოებისათვის მეტ „სარგებელს“ მოიტანდა, ამგვარად თუკი ექიმს უფრო ასაკიანსა და ახალგაზრდას შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ის ახალგაზრდას აირჩევდა სამომავლო პერსპექტივაზე გათვლით. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება დეონტოლოგიურ პრინციპს, რომელიც გვეუბნება, რომ მიუხედავად ყველა გარეგანი ფაქტორისა, ჩვენ ყოველ ადამიანს თანაბრად უნდა მოვეპყრათ, რადგან ყოველ ადამიანს თანაბარი ღირსება და უფლებები აქვს. თუკი ჩვენ გადაწყვეტილებას სარგებლიანობის

პრინციპიდან გამომდინარე მივიღებთ, ეს ნიშნავს ადამიანის ინსტრუმენტალიზებას, მის საშუალებად განხილვას. ამ მიდგომით ჩვენ ვაცხადებთ, რომ ადამიანი კი არ არის თვითმიზანი, არამედ მისგან გამომდინარე სარგებელი, პროდუქტიულობა, ან სხვა ნებისმიერი რამ. ამ მიდგომას ამყარებს უკვე კარგად დამკვიდრებული რიტორიკა, რომ ჩვენ ეკონომიკა არ უნდა გავაჩეროთ, არ უნდა მივცეთ ადამიანებს შესაძლებლობა, რომ მათ თავი ვირუსისგან დაცულად იგრძნონ, ეს, რა თქმა უნდა, არაეთიკურად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის ადამიანს განიხილავს ეკონომიკური ზრდისთვის არსებულ საშუალებად. დეონტოლოგიური მიდგომას თუ მივყვებით, ჩვენ უნდა შევძლოთ ისეთი სააზროვნო ექსპერიმენტის შექმნა, რა დროსაც არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცით, ახალგაზრდები ვართ, თუ ასაკიანები, ჯანმრთელები, თუ რაიმე ქრონიკული დაავადების მატარებელი, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებდით ასეთი არცოდნის ვითარებაში ჩვენივე თავის შესახებ? დეონტოლოგიური მიდგომა გვეუბნება, რომ სწორედ ასეთი „არცოდნით“ უნდა შევხედოთ სხვა ინფიცირებულებსაც და ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა, თანაბარდებულად განვიხილოთ.

დაბოლოს, საინტერესოა თუ როგორ ოპერირებს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებრივი მოწყობა პანდემიის პირობებში. მაგალითად, ისეთ ქვეყანაში, როგორც გერმანია, სადაც ჩვენ ვხვდებით სოციალურ სახელმწიფოს, პანდემიას ამკარად უფრო ნაკლები მსხვერპლი მოაქვს, თუმცა, შეერთებულ შტატებში უფრო მეტად არასაჯარო ჯანდაცვის სისტემას ვხვდებით და ვირუსი აქ უფრო მეტად უტევს მოწყვლად ჯგუფებს. აქაც ჩვენ შეიძლება დავინახოთ ის ეთიკური/მორალური ტვირთი, რომელიც მთავრობებს აქვთ. ასეთ დროს, როდესაც ადამიანებს ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრებათ რამდენად ეთიკურია მიტოვების, უკანდახვევის პოლიტიკის წარმოება, პანდემიასთან გამკლავების კერძო საქმედ გამოცხადება და მისი ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე დაყვანა? გოზეპატის აზრით: *პოლიტიკურმა წარმომადგენლებმა, უნდა ატარონ მორალური და პოლიტიკური ტვირთი განსხვავებული შედეგების დადგომისას. შედეგები, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმ ზომებზე, რომლებსაც პანდემიის წინააღმდეგ იღებენ და, მეორე მხრივ, - პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუციებზე, როდესაც, მაგალითად, ვადარებთ გერმანიასა და შეერთებულ შტატებს.* უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ზნეობრიობის პრინციპს ეყრდნობიან უფრო უკეთ უმკლავდებიან არსებულ ადამიანურ გამოწვევას, ვიდრე ის სახელმწიფოები, რომელშიც ამ ვითარებასთან გამკლავება კერძო საქმეა. აქაც ცხადია, შეგვიძლია დავინახოთ ფილოსოფიური განსხვავება, ერთი მხრივ, ადამიანის როგორც თვითმიზნად გამოცხადება და, მეორე მხრივ, ადამიანის ინსტრუმენტალიზება. ამ მიდგომების ახლიდან გადააზრების სიმწვავე ხელახლა წარმოაჩინა უცაბედად გამოჩენილმა პანდემიამ და, შესაბამისად, კრიზისის შემდეგაც აუცილებელია იმაზე მსჯელობა თუ როგორ უნდა მოვაწყოთ პოლიტიკური და სოციალური სისტემები და თუ როგორ უნდა გავხადოთ ისინი უფრო მეტად ზნეობრივი.

5) დავით გურგენიძე:

ბოლო დროის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ფილოსოფოსმა მარკუს გაბრიელმა, რომელთანაც ჩვენ საკმაოდ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ, ეს მოვლენა აღნიშნა როგორც ვირუსოლოგიური იმპერატივი და მის საშიშ ტენდენციებზე მიგვიითთა; ამავდროულად იგი თვლის, რომ მსოფლიო მომავალი ჰუმანიტური და განმანათლებლური თანაცხოვრებისათვის აუცილებელია ახალი უნივერსალური მორალის შექმნა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დაპირისპირებებს სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკურ სისტემებში მცხოვრებ ხალხთა შორის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის მიერ გამოწვეული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჰეგემონობა ცალკეული სახელმწიფოებისა და ფინანსურ-ეკონომიკური კომპანიებისა, რომელიც როგორც იურგენ ჰაბერმასი იტყოდა: „სასიცოცხლო სამყაროს კოლონიზაციას იწვევს, დაძლეულ იქნას“, რათა მსოფლიო მოსახლეობას „მსოფლიო მოქალაქეებს“ თანასწორი სამართლიანობის პირობებში თავისუფლად შეეძლოთ არსებობა. ამ პრინციპის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ახალი ტრანსდისციპლინური ცოდნის ველის შექმნა, რომელიც ადამიანებს არა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებული სიკეთეებიდან დაკმაყოფილების შესაძლებლობას მისცემს, არამედ თვითონ გახდის მონაწილედ, რომ ამ ახალი ცოდნის ველში იარსებოს და თვითონ ავტონომიურად დაგეგმოს თავისი საარსებო გარემო და მომავალი. როგორ ფიქრობთ თქვენ, რა ნაბიჯების გადადგმას გვთავაზობს მარკუს გაბრიელი ამ ინოვაციური პრინციპების განხორციელებისათვის?



კითხვას პასუხობს ქეთევან რჩეულიშვილი:

სამყარო COVID-19-ის შემდეგ საგულისხმოდ შეიცვალა. თუმცა, შეიცვალა არა მხოლოდ სამყარო, არამედ ჩვენც, რადგანაც სწორედ ჩვენ ვართ სამყაროს (ჯერჯერობით) ერთადერთი დასაბუთებული დამკვირვებლები და შემმეცნებლები, და, ამდენად, თუ მხოლოდ საკუთარ კონსტრუქტებთან არ ვაიგივებთ სამყაროს, სულ მცირე, თანამოგიაზრებთ მაინც მასში საკუთარ თავს. კოვიდით წარმოქმნილმა რეალობამ

კიდევ ერთხელ დაგვახსენა, თუ რამდენად გაუცხოებული ვართ არა მხოლოდ სამყაროსთან, არამედ საკუთარ თავთან, ერთმანეთთან და საკუთარ ცოდნასთანაც კი. ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასი თავის ინტერვიუში კოვიდით გამოწვეული რეალობის შესახებ აღნიშნავს: “ამდენი ცოდნა ჩვენი არცოდნის შესახებ არასდროს გვექონია.”

საინტერესოა დაკვირვება იმაზე, თუ რამდენად გარდამტეხი აღმოჩნდა პანდემია არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის, სოციალური, თუ პოლიტიკური ძვრების თვალსაზრისით, არამედ მთელი სამყაროსეული რეალობის და მათ შორის სწორედ საკუთარი თავის აღქმის და გაცნობიერების თვალსაზრისით. ეს გარდატეხა ძალიან თვალსაჩინო ხდება, თუ დავაკვირდებით, როგორი იყო დამოკიდებულება პანდემიის გაჩენის პირველ ეტაპზე და რამდენად შეიცვალა ეს დამოკიდებულება დღეს. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს გარდატეხა არ არის დაკავშირებული ამ დაავადების და მისი მართვის უფრო უკეთ შესწავლასთან, ან მასთან გამკლავების საქმეში გარკვეული პროგრესის მიღწევასთან - ჩვენ თითქმის იმდენი ვიცით ახლაც პანდემიაზე, რამდენიც მისი პირველი აფეთქებისას და არც ახლა ვფლობთ უფრო ზუსტ ინფორმაციას სრულყოფილი ვაქცინის დამზადების თარიღზე, არც მისი ქმედითუნარიანობის ხარისხზე. მაშასადამე, როგორც სამყაროში, ისე ჩვენს შიგნით შეიცვალა რაღაც და ჩვენი ინდივიდუალური დამოკიდებულება არსებულ რეალობასთან. თუ პანდემიის პირველ ეტაპზე ყველა ერთხმად მის დამარცხებასა და დამლევაზე საუბრობდა, დღეს მთავარ სლოგანად “კოვიდთან თანაარსებობა” იქცა. ეს დინამიკა ძალიან კარგად ჩანს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის საჯარო მიმართვებში, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ვირუსის გაჩენისა და მისი სახელების მომენტიდან დღემდე, ევროპული კავშირის ერთ-ერთ მთავარ “რუპორს” წარმოადგენს მსოფლიოსთან კომუნიკაციაში. თუ მარტის დასაწყისში მისი შემართება გამოიხატება ფრაზებში: “ეს არ არის მოვლენათა განვითარების ერთადერთი და გარდაუვალი მიმართულება. ჩვენ შეგვიძლია ეპიდემია შევაჩეროთ,”³⁰ ივლისის გამოსვლაში ამ შემართებას ცვლის ფრაზები: “ქვეყნები უნდა შეეგუონ ახალ ჩვეულებრივობას/ნორმალურობას”(“new normal”), “ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან თანაცხოვება.”³¹ სწორედ მისი ეს სიტყვები იქცა მთელი მსოფლიოს მედიცინის მუშაკთა, პოლიტიკური ელიტებისა, თუ ინტელექტუალთა წრის მთავარ მესიჯად, ბოლო პერიოდის მანძილზე.

დასავლეთ ინტელექტუალთა წრეში პანდემიის გააზრებაც, ფაქტობრივად, თვითრეფლექსიის ხასიათისაა და რიგ შემთხვევაში თვითკრიტიკისა თუ ღირებულებათა გადაფასების ასპექტებზე, რიგ შემთხვევაში კი შემეცნების, ახალი სინამდვილის აღქმის პრობლემებზეა აგებული. უფრო და უფრო ხშირად გვხვდება კოვიდ-რეალობის აღწერა ისეთ ტერმინებში როგორიცაა “ახალი სინამდვილე”, “განუჭრეტელი მომავალი”, “მიმდინარე სწავლის პროცესი” და სხვა. ამავე დროს კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს კოვიდთან მიდგომის ის დომინანტური ფორმებიც, რომლებმაც ერთბაშად მოიცვა მსოფლიო პოლიტიკა, ეკონომიკა თუ სოციალური სისტემები, ისეთი ახალი ტერმინებით, როგორიცაა “ვირუსოლოგიური იმპერატივი” “ჯოგური იმუნიტეტი” და სხვა.

პანდემიის გაცნობიერების და მასზე რეაგირების პრობლემა ჩვენი დროის მთავარ თემად იქცა. ამ კონტექსტში, ძალიან საინტერესოა ფილოსოფოს მარკუს გაბრიელის შეხედულება კოვიდ

პანდემიაზე, რომელიც ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გამოხმაურებად იქცა პანდემიასთან და მისით გამოწვეულ სინამდვილესთან.

მარკუს გაბრიელის ხედვა Covid-19 პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობაზე იმ თვალსაზრისითაა ნიშანდობლივი, რომ იგი მას თავისი ფილოსოფიური შემოთავაზების - ახალ რეალიზმის იდეაზე ამყარებს. მარკუს გაბრიელის ფიგურამ თანამედროვე ფილოსოფიაში სწორედ იმით გაითქვა სახელი, რომ ის ე.წ. **ახალი რეალიზმის** ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა.

გაბრიელის მიერ შემოთავაზებული ახალი რეალიზმი იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი ცდილობს ფილოსოფიის მეტაფიზიკური ტრადიცია გაცოცხლოს და აქტუალური გახადოს პოსტმოდერნული აზროვნების წიაღში. ესაა ერთგვარი მორიგების მცდელობა გერმანული იდეალიზმის იდეებისა პოსტ-მოდერნულ, უფრო კონკრეტულად - კონსტრუქტივიზმის ხედვასთან. კერძოდ, **ახალი რეალიზმის მიხედვით, ჩვენი იდეები ამა თუ იმ ფაქტზე არსებობის ისეთივე ხარისხით ხასიათდება, როგორც თვითონ ფაქტები, რომლებზეც ჩვენ ვმსჯელობთ და ვქმნით ჩვენს იდეებს.**

ახალ რეალიზმს **არსებობის ("Existenz")** ისეთი ცნება შემოაქვს, რომელიც თავის თავში მოიცავს იმგვარ მოვლენებს, რომლებიც გასაგებია და სისტემური ანალიზისთვის მისაწვდომი და იმ მოვლენებსაც, რომლებიც შეიძლება აუცილებლად არ იყოს გასაგები. ასეთებია, მაგალითად, სული (Geist), ზნეობა, ღირებულებები და სხვა ისეთი ძნელად დასაბუთებადი მოვლენები, რომელთა გარშემო მუდმივად არსებობდა და არსებობს დავა:

არსებობს თუ არა ჭეშმარიტი მორალი? სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული და მრავალფეროვანი მორალის არსებობა ხომ არ გულისხმობს იმას, რომ რეალურად არ არსებობს ერთი და ჭეშმარიტი მორალი? ან რამდენად შეიძლება უნივერსალური იყოს ადამიანური ღირებულებები? ხომ არ არის ეს უნივერსალურობა, ისევე როგორც მორალი და ღირებულებები უბრალოდ ადამიანის გონების მიერ შექმნილი კონსტრუქტი და სხვა არაფერი - ეს ის საკითხებია, რომლებიც მოდერნიზმის, მოდერნული აზროვნების კრიზისმა დაბადა და კონსტრუქტივიზმმა განავრცო.

გაბრიელის პასუხი კი ამ კითხვებზე ისაა, რომ **არსებობა** თავისთავად არ ნიშნავს ამა თუ იმ არსებულის აბსოლუტურად გასაგებ, ლოგიკურად დაფუძნებულ მდგომარეობაში ყოფნას. ამას სწორედ ის ადასტურებს, რომ **ჩვენ არ გვჭირდება არსებობის სრულყოფილად გაგება - მისი სრულყოფილი და აბსოლუტური განსაზღვრების ქონა - იმისათვის, რომ სრულყოფილად ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს, რომ რაღაც არსებობს.**

ის, რასაც გაბრიელი ამ შემთხვევაში კრიტიკულად უპირისპირდება, არის კონსტრუქტივისტული, პოზიტივისტური ხედვა ცოდნასა და მეცნიერულობაზე, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლოგიკას მიჰყვება და მიიჩნევს, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებებიც სწორედ ამ მეცნიერულობის კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მოდელზე უნდა იყოს აგებული. ამის საპირისპიროდ, გაბრიელი აჩვენებს, რომ თავად ეს პოზიტივისტური ხედვაც, რომელსაც დღეს **“მეცნიერულ მსოფლმხედველობას”** ვუწოდებთ, იმ ცნებებითა და იდეებით სარგებლობს, რომლებსაც ის სწორედაც მეტაფიზიკურ აზროვნებას დაესესხება. ასეთებია: **რეალობა, სამყარო, არსებობა** და სხვა. ამ ცნებების ზუსტ განსაზღვრებას კი თავად პოზიტივიზმი ვერ გვაძლევს, და შესაბამისად, მეტაფიზიკური იდეების არსებობა ისეთივე ლეგიტიმურობით ხასიათდება, როგორც ისეთი მოვლენებისა, რომლებიც დასაბუთებადია, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (მათემატიკის, ან ფიზიკის) სრულიად დასაბუთებული კანონები და კანონზომიერებები.

თუმცა, ამის ჩვენებით ბონელი ფილოსოფოსი სულაც არ ცდილობს, რომ უარყოს **“მეცნიერული მსოფლმხედველობა”** და მისი მნიშვნელობა სრულიად გააბათილოს და დააკნინოს, არამედ აჩვენებს, რომ **“მეცნიერული მსოფლმხედველობა”** ერთ-ერთი პერსპექტივაა და სწორედ ისეთი, როგორც არის მეტაფიზიკური პერსპექტივა სამყაროზე. ორივეს კი თანაბარი ლეგიტიმური არსებობის უფლება აქვს.

ამდენად, ახალი რეალიზმის პოზიცია ისაა, რომ სამყარო არც მხოლოდ დამკვირვებლების გარეშე არსებული სამყაროა (რაცაა მეფატიზიკური წარმოდგენა სამყაროზე) და არც მხოლოდ დამკვირვებლების სამყაროს წარმოდგენს (რაც კონსტრუქტივიზმის ხედვა სამყაროზე).

რა მნიშვნელობა აქვს ახალ რეალიზმს ისეთი ცნებებისა და იდეების აქტუალიზებისთვის, როგორებიცაა მორალი, სული, ღირებულებები და სხვა?

ახალი რეალიზმი ცდილობს, რომ ეს იდეები, რომელთა მარგინალიზებაც შერჩევითად მოხდა თანამედროვეობაში, “მეცნიერული რეალიზმის” (ონტოლოგიური ანტირეალიზმის) მიერ (მათი დაუფუძნებლობის არგუმენტით), კვლავ აქტუალური გახადოს და აჩვენოს, რომ ისინი იმდენადვე ლეგიტიმურია, როგორც ის იდეები, რომლებსაც “მეცნიერული მსოფლმხედველობა” სისტემურ ანალიზს უქვემდებარებს.

ამ შემთხვევაში კოვიდ პანდემია, პირველ რიგში მორალური გამოწვევაა მთელი კაცობრიობისთვის და სწორედ ამ კონტექსტში განიხილება ეს მოვლენა და მიმდინარე პროცესი, რომელშიც დღესდღეობით მთელი მსოფლიო იმყოფება.

პირველი პრობლემა, რომელმაც პანდემიის გავრცელების დღიდანვე იჩინა თავი, **ზნეობრივი დილემაა**, რომლის წინაშეც დადგნენ თანამედროვე სახელმწიფოები, პოლიტიკური ელიტები და ხალხი: ეს გამოწვევა უკავშირდება არჩევანს **ეროვნული ინტერესების პრიორიტეტსა და კაცობრიობის, როგორც გაბრიელი უწოდებს, კოსმოპოლიტიკურ პრიორიტეტს** შორის.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ეროვნული თვითგადარჩენა - თუ კაცობრიობის გადარჩენა?

შეიძლება ითქვას, რომ ეს მთავარი დილემაა, რომელსაც პასუხი სწორედ **ზნეობრივ დონეზე უნდა გაეცეს** და არა წმინდა უსაფრთხოების [პოლიტიკის] თუ ეკონომიკის ლოგიკის დონეზე.

რატომ დგას ეს დილემა? თითოეული სახელმწიფო, მისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ორიენტირებულია ეროვნული უსაფრთხოების დაცვაზე, თვითგადარჩენაზე. საფრთხე, რომელიც კოვიდმა წარმოშვა თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, იმდენად გლობალურია, რომ ერთგვარად მსოფლიო ომის მდგომარეობასაც კი შეიძლება ჰგავდეს. [ომის მდგომარეობაში კი სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ, ეროვნულ პრიორიტეტზე დაფუძნებულ პოლიტიკას ეძლევა პრიორიტეტი და სწორედ ამიტომ სახელმწიფო შეიძლება საყოველთაო ავტორიტეტად იქცეს პანდემიასთან ბრძოლაში, სახელმწიფოების ხმა ვირუსოლოგიური იმპერატივის სახით ისმის, რომელსაც თითქოს ალტერნატივა არ გააჩნია და ერთადერთი ავტორიტეტული ხმაა] თუმცა, პანდემიიდან მომდინარე საფრთხე - განსხვავებით მსოფლიო ომის მდგომარეობისგან, არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე, ანუ, ამ საფრთხის უკან არ დგანან [პოლიტიკური] სუბიექტები, სახელმწიფოები, მათი ეროვნული ინტერესებით. ამდენად, პრობლემა, რომელიც ამ შემთხვევაში პოლიტიკური უსაფრთხოების დღის წესრიგში დგას არატიპურია და მის წინაშე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ძალთა წონასწორობის პრინციპი, თუ ყველა სხვა რეალპოლიტიკური კონცეფცია ერთგვარად კარგავს წონას და საწყის მნიშვნელობას. საქმე კაცობრიობის გადარჩენას ეხება და დგება საკითხი როგორ უნდა გადავრჩეთ?

სწორედ ამის გამო, რომ მარკუს გაბრიელი, რომ “ჩვენ სამყაროს მომავლის გეგმაზე ვმუშაობთ”

იგი მიიჩნევს, რომ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ჩვენს **აზროვნებაში ნაციონალური საზღვრების გადალახვა**, ანუ აზროვნება არა ეროვნული ინტერესებისთვის, არამედ კაცობრიობის ინტერესების პერსპექტივიდან დანახვაა. რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს იმას, რომ **ეროვნული საზღვრები** ნაკლებად მნიშვნელოვანი, ან არასაჭიროა, თუმცა იმისათვის, რომ ჩვენ მართალნი ვიყოთ საკუთარი ერის წინაშე, ჩვენ გვმართებს ჩვენს თავზე საკაცობრიო პასუხისმგებლობაც ავიღოთ, რადგან დასაძრახი იქნება, თუ ჩვენ დავიჯერებთ, რომ ერთმანეთს მიმართ როგორც ადამიანების მიმართ გვაქვს ზნეობრივი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ჩვენს ეროვნულ საზღვრებთან მთავრდება და არ ვრცელდება ყველა იმ ადამიანზე, ვინც ამ საზღვრებს გარეთ იმყოფება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესის და მდგომარეობა გლობალურობის სახით აქამდე არსებობდა, უპირატესად **ეკონომიკურ გლობალიზაციას წარმოადგენდა**, რომელიც ჩვენი აზრით, მორალური თვალსაზრისით გაუმართლებელია და ის უმეტესწილად არ ითვალისწინებს სოციალური თანასწორობისა და ეკოლოგიურ ფაქტორებს, რამაც მსოფლიო სოციალურ და ეკოლოგიურ კრიზისებამდე მიიყვანა; პანდემიაც ეკოლოგიურ კრიზისთან რიგს განეკუთვნება; ახლა კი **კაცობრიობას ღირებულებებითი ხასიათის გლობალიზაცია ესაჭიროება, გაერთიანება ერთნაირი ღირებულებების გარშემო** - თუმცა, ეს ღირებულებები არ უნდა ეფუძნებოდეს ქრისტიანულ-იუდაურ წარმოდგენას, და არ უნდა იყოს განსხვავებული სხვა ტრადიციებისგან, როგორცაა მაგალითად, ინდო-ჩინური ტრადიციები, აქედან გამომდინარე, მარკუს გაბრიელის აზრით, **ჩვენ უნდა განვავითაროთ ისეთი უნივერსალური საზოგადოებრივი ეთიკა, რომელიც ყველა ადამიანს შეეხება.**

ამგვარი ნააზრევებიდან გამომდინარე, ამ ტიპის ღირებულებებითი გაერთიანება საფუძველს შეუქმნის მორალურ ეკონომიკასაც. ამ გზით, სამომხმარებლო სიკეთის ცნებას ჩაანაცვლებს მორალური სიკეთის ცნება, რომელიც არის საფუძველი გერმანული იდეალიზმის იდეებისა, რომლებსაც გვთავაზობენ კანტი და ფიხტე: **რომ ადამიანის სიცოცხლის უმაღლესი საზრისი იმის აღიარებაშია, რომ ჩვენ როგორც ადამიანები მორალური უნარის მქონენი ვართ**, ამის საპირისპიროდ, ჩვენ თანამედროვე ადამიანებმა სიცოცხლის საზრისი გადავფარეთ სამომხმარებლო საზრისით, რომელმაც შეიძლება ადამიანები არამარტო ფიზიკურ, არამედ მორალურ სიკვდილამდეც მიიყვანოს და ესაა სწორედ ახალი რეალიზმის დამფუძნებლის მიხედვით ამ სისტემის შედეგი.

ჩვენს მიერ გადასადგმელი სწორი ნაბიჯი კი ის იქნებოდა, რომ ჩვენ გაგვეცნობიერებინა ჩვენი სიცოცხლის საზრისი - გვესწავლა თავის გაწირვა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვისთვისაც. **ამ თვალსაზრისით, შეიძლება დავეთანხმოთ მარკუს გაბრიელს, როდესაც პანდემიას დადებით კონტექსტშიც კი განიხილავს (ყველა მოვლენის დიალექტიკური პრინციპიდან გამომდინარე), როგორც მამხილებელს იმ ეკონომიკური გლობალიზაციის მანკიერებისა, რომელმაც დაანახა მსოფლიოს, თუ რა მოჰყვება და რა შეიძლება მოჰყვეს ნაციონალურ საზღვრებში პარტიკულარულ აზროვნებას - და იმ ე.წ. ღირებულებებს, რომლებიც საკუთარი მომხმარებლური ინტერესებით განისაზღვრება და რომელთა საზღვრებიც ეროვნულ საზღვრებთან მთავრდება.** ამდენად, პანდემიამ უნდა მისცეს ბიძგი ჩვენს აზროვნებას, რომ სწორედ ამ საზღვრების მიღმა გავიდეს და ისწავლოს კოსმოპოლიტიურად აზროვნება.

„ჩვენ გვჭირდება ახალი მეტაფიზიკური პანდემია“- ამბობს მარკუს გაბრიელი და აი, რას გულისხმობს ამაში:

იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ “პან-დემია” - ძველბერძნულად “ერთ-ერს” ნიშნავს. მართლაც, ესაა მოვლენა, რომელიც ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე ეხება და ამ თვალსაზრისით, სწორედ **ერთ ერთად** კრავს მსოფლიო საზოგადოებას. თუმცა, ჯერ კიდევ ვერ ხდება გადაწყვეტა იმისა, ვირუსთან ბრძოლისას უნდა ჩავიკეტოთ თუ არა საკუთარ ნაციონალურ საზღვრებში. ამ ჩაკეტვას ის ახსნა აქვს, რომ რამდენადაც უსაფრთხოების საკითხს, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა, ნაციონალური სახელმწიფოები წყვეტენ, ამდენად თითოეულმა ქვეყანამ/სახელმწიფომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს და საკუთარი საზღვრების ფარგლებში იზრუნოს დაავადებასთან ბრძოლაზე. თუმცა, ამავე დროს, ვირუსის თვისება, რომელიც თითოეულ ადამიანს თანაბრად ემუქრება, გვახსენებს, რომ ჩვენ როგორც ადამიანები უხილავი ძაფით ვართ გადაბმული ერთმანეთთან და პანდემია ყველას გვაერთიანებს - **ყველა ადამიანი თანასწორია პანდემიის წინაშე.**

ამ თვალთახედვიდან გამომდინარე ვირუსების არსებობა და ვირუსოლოგიური იმპერატივიც შეიძლება მოუგვარებელ **მეტაფიზიკურ პრობლემებად** განიხილებოდეს, რამდენადაც არ არსებობს ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნა იმაზე, თუ რა ფორმით არსებობს ისინი: არიან თუ არა ცოცხალი ორგანიზმები? ამის მიზეზი კი ჩვენი **არცოდნაა - სიცოცხლის შესახებ**, რომლის ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია **საბუნებისმეტყველო მეცნიერებას** არ გააჩნია. სინამდვილეში ზუსტი და საბუნებისმეტყველო პერსპექტივიდანაც არავინ იცის, სად

და საიდან იწყება სიცოცხლე. არ არსებობს ამის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება, რომელიც დაადგენდა, რომ აი, ამ წერტილიდან, ამ მოცემულობიდან შეიძლება ვისაუბროთ სიცოცხლეზე. (სხვათა შორის, აბორტის თემაც სწორედ ამ საკითხის გარშემო ტრიალებს, უნდა განვიხილოთ თუ არა ცოცხალ არსებად და ღირსების, ადამიანის უნივერსალური უფლების მქონედ ნაყოფი და რა მომენტიდან ვცნობთ მას ადამიანად.)

ამგვარადვე ცალსახად ვერ განვსაზღვრავთ, თუ რას ნიშნავს ცნობიერება, არ ვიცით “მეცნიერული ცოდნით” შეიძლება თუ არა ჰქონდეს ცნობიერება ცხოველს, მწერს, მცენარეს, ან თუნდაც, ადამიანის ცალკეულ ორგანოს - მაგალითად, ღვიძლს. ან რამდენად შეიძლება ჩვენი პლანეტის ეკოსისტემა გიგანტური ცოცხალი ორგანიზმი იყოს და კოვიდ პანდემია მისი იმუნორეაქცია ადამიანური ამპარტავნების წინააღმდეგ, რომელიც საკუთარი მომხმარებლური ინტერესების გამო უამრავ ცოცხალ არსებას ანადგურებს?

შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ პანდემიამ წარმოაჩინა XXI საუკუნის „იდეოლოგიის“ სისუსტე, რომელმაც შექმნა ილუზია, თითქოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე ორიენტირებულმა ტექნოლოგიურმა წინსვლამ, ადამიანის მორალური განვითარება შეიძლება დააჩქაროს.

რა თქმა უნდა, მარკუს გაბრიელს არ სურს ამით იმის თქმა, თითქოს ტექნოლოგიური განვითარება, ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არასაჭირო რამ იყოს, თუმცა მას სურს აჩვენოს, რომ მათი ხედვა ერთ-ერთი პერსპექტივაა და არა უალტერნატივო. მათი პერსპექტივა ისევეა შეზღუდული, როგორც ნებისმიერი სხვა პერსპექტივა, მათ შორის, ისიც, რომელსაც მეტაფიზიკა გვთავაზობს. ამასთან, ეს პერსპექტივა შერჩევითია ფაქტებთან მიმართებაშიც, რადგანაც არავინ საუბრობს იმაზე, თუ რამდენი ბავშვი იღუპება მსოფლიოში უწყლობის ნიადაგზე და სწორედ იმ სისტემის შიგნით, რომელიც ჩვენ ჩვენი სამომხმარებლო ინტერესებიდან გამომდინარე შევქმენით.

ვირუსს კიდევ ერთხელ საამკარაოზე გამოაქვს არა ახალი, არამედ ყველაზე ნაცნობი და ყველაზე ძველი საჭიროება, რაცაა გლობალური განმანათლებლობის საჭიროება. “ჩვენ გვჭირდება აცრა ნაციონალური საზღვრებში ჩაკეტილი აზროვნებისგან, რასისტული, კლასობრივი, სტერეოტიპული აზროვნებისგან.” ამასთან, სწორედ კოვიდმა გახადა ცხადი, რომ ილუზიაა წარმოდგენა იმაზე, თითქოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას ყველა თანამედროვე პრობლემის, მათ შორის, ზნეობრივი პრობლემების მოგვარებაც შეუძლია და თითქოს ჩვენ ხელგვეწიფება დავგეგმოთ ყველაფერი. სწორედ ამდენად მიიჩნევენ მარკუს გაბრიელი, რომ ჩვენ გვჭირდება ეთიკური განმანათლებლობა, ჩვენ მეტაფიზიკურ “პან-დემიას” ვსაჭიროებთ - ანუ, მეტაფიზიკურად ერთ ერად გაერთიანებას.

“ჩვენ ვართ და ვრჩებით მიწაზე, ვართ მოკვდავი და მოწყვლადი არსებები, ამრიგად, ჩვენ ვიქნებით დედამიწის მოქალაქეები, მეტაფიზიკური პანდემიის მსოფლიო მოქალაქეები. სხვა ყველაფერი გაგვანადგურებს და ვერცერთი ვირუსოლოგი ვერ გადაგვარჩენს.”

6) დავით გურგენიძე:

დასასრულს მინდა დავსვა კიდევ ერთი კითხვა, Covid-19-მა განსაკუთრებით მისი წარმოქმნის საწყის ეტაპზე გააჩინა ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მდგომარეობა გლობალურობის და გლობალიზაციის პროცესის დაპირისპირებაში გამოიხატება ნაციონალური სახელმწიფოების იდეასთან. ერთი შეხედვით ისეთი პრობლემა წარმოიქმნა თითქოს ეს ორი ხდომილება ერთმანეთის კატეგორიული გამომრიცხავია. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როდესაც თვით ევროკავშირის ქვეყნებიც კი თავიანთ საზღვრებში ჩაიკეტნენ და სოლიდარობის პრინციპი თითქოს დაივიწყეს. საბედნიეროდ, ეს ცოტახანს გაგრძელდა და ჰუმანურობის და სოლიდარობის პრინციპებმა ისევ წინა პლანზე წამოიწია. როგორ ფიქრობთ, არის კი მდგომარეობა გლობალურობა და გლობალიზაციის პროცესი ნაციონალური სახელმწიფოების გამომრიცხავი, ან პირიქით, თუ ეს ორი ხდომილება აუცილებლად ერთდროული და ურთიერთდამწინააღმდეგებელი პრინციპი?



კითხვას პასუხობს მარიამ ხაზარაძე:

კორონა-ვირუსის მიერ გამოწვეულმა პანდემიამ და პანდემიის შედეგებმა სრულიად მოიცვა საზოგადოებრივი სისტემის ყველა სფერო: იგი შეეხო სამართალს, ეკონომიკას, სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, პანდემიამ უფრო მკვეთრად წარმოაჩინა ყველა პრობლემა, რომელიც ლატენტურად იდგა დღის წესრიგში; პანდემიამ ცალსახად დააყენა

ეკოლოგიური კრიზისის, სოციალური უთანასწორობის, ჯანდაცვისა და სადაზღვეო სისტემის გამართულობის საკითხი. კრიზისის ბუნებამ პრინციპულად შეცვალა მსოფლიო საზოგადოება და წარმოდგა არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და მორალურ კრიზისად.

ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც პანდემიამ გახადა პრობლემური ადამიანის უფლებები და ინტერსუბიექტური ურთიერთობებია. ვირუსოლოგიურმა და სოციალური დისტანცირების იმპერატივმა ერთგვარი ექსისტენციალური კრიზისის სახითაც იჩინა თავი. ეს იმით არის განპირობებული, რომ ეს კრიზისი არ არის ლოკალურობით შემოსაზღვრული. კორონა-კრიზისი ეხება კაცობრიობას, როგორც მორალური კომუნიკაციის მქონე ორგანიზმს.

პანდემიის საწყის ეტაპზე, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ გაურკვეველობაში იმყოფებოდა, აქტიურად წარმოჩნდა პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მოდელები ქმნიან ადამიანის უფლებებთან მიმართებით. ამან პრიორიტეტის საკითხი დააყენა: სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა თუ ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე?

თავის მხრივ, ეკონომიკური სტაბილურობის საკითხთან მიმართებით, სახელმწიფოებრივი მოდელების გარდაქმნის საჭიროებაც გამოიკვეთა. თუ კრიზისამდელ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის „ჩაურევლობის“ პოსტულატი შეუვალ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, უშუალოდ კრიზისის პერიოდში სახელმწიფოებს წამოეყენათ მოთხოვნა, რომ სახელმწიფოებრივი ძალის ჩარევით შეენარჩუნებინათ ეკონომიკური სტაბილურობა. ამან ცხადი გახადა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის საჭიროება. ნიშანდობლივია, რომ ვირუსისადმი რეზისტენტულები სწორედ ის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ, რომელთა სახელმწიფოებრივი მოდელი სოციალურ თანასწორობას ეფუძნება და გამართული ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, სადაზღვეო და სოციალური დაცვის სისტემები აქვს.

კრიზისმა აგრეთვე გამოკვეთა ნაციონალიზმის პრობლემა. ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე იყო შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთმა სახელმწიფომ ერთმანეთი დაადანაშაულა ვირუსის შექმნაში და ასევე ვაქცინის შესყიდვაც სურდა, ვაქცინაციის ნაციონალური გამართლების მიზნით. ამ ვითარებამ, გარკვეულწილად, სოლიდარობის ერთაშორისი პრინციპი უკანა პლანზე გადაწია და პანდემიის გადაჭრის ნაციონალური გზები იქნა ნასურვები. საწყის ეტაპზე, ანტიგლობალისტებს გარკვეული სიმართლაც კი ჰქონდათ, როდესაც დახურული საზღვრებით, აეროპორტებით, სახმელეთო მიმოსვლის საშუალებათა ჩაკეტვით ისურვეს პრობლემის მოგვარება.

ამ ვითარებამ გლობალიზაციის წინააღმდეგობები აჩვენა. რა ესმოდა ან რა ესმის მსოფლიო საზოგადოებას გლობალიზაციაში? ან არის კი პანდემიით დამდგარი სოციალური პრობლემების ანტიგლობალისტური ხედვა არსებითი ?

თანამედროვე სამყაროში გლობალიზაცია სხვადასხვა შინაარსს მოიცავს: ეს შეიძლება ნიშნავდეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოს „პარტნიორობას“ და მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელების იძულებით დამკვიდრებას ლოკალურ ჩარჩოში; გლობალიზაციაში შეიძლება ასევე ესმოდეთ მხოლოდ ეკონომიკური გლობალიზაციაც.

გლობალიზაციის ცნების ამ წინააღმდეგობრიობას აუცილებლად დავაღწევთ თავს, თუ გლობალიზაციას პოზიტიური მნიშვნელობით გავიაზრებთ, უნივერსალისტური მორალის პერსპექტივაში. პოზიტიური გაგებით, გლობალიზაცია ინტერკულტურულ მიმართებებზე

დამყარებული სიმეტრიული აღიარების პრინციპია, რომელიც ერთაშორისი სოლიდარობით გამოიხატება და თავის თავში მოიცავს ჰუმანიზაციის პროცესსაც. სწორედ უნივერსალური მორალის პერსპექტივიდან არის შესაძლებელი გლობალიზაციის პოზიტიურ მნიშვნელობაზე საუბარი, რაც, აგრეთვე, გულისხმობს, რომ ლოკალური და გლობალური პერსპექტივა არათუ გამორიცხავს, არამედ აწანამძღვრებს კიდეც ერთმანეთს და მხოლოდ ამგვარი თვალთახედვითაა შესაძლებელი სოლიდარობაზე დამყარებული ერთაშორისი ურთიერთობები. ეს კი, თავის მხრივ, კლასიკური გერმანული იდეალისტი ავტორის, იმანუელ კანტისადმი და ადამიანის ღირსების კანტისეული გაგებისადმი მიბრუნებაა, რაც ასე გამოიხატება: „სამართლის უფლების შელახვა დედამიწის ერთ ადგილას ყველგან უნდა იყოს შეგრძნებული“.

დავით გურგენიძე:

მადლობას მოგახსენებთ ასეთი შინაარსიანი საუბრისათვის. იმედი მაქვს, რომ მსგავსი ინტერდისციპლინური სემინარები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჩვენი უცხოელი კოლეგების მონაწილეობით, რეგულარულ ხასიათს მიიღებს, რაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ჩვენ ინტეგრირებული ვიყოთ თანამედროვე ევროპულ აკადემიურ კვლევით პროცესში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პროცესის მიმდინარეობაში.